

დანიშნულება (Destination): INFRADEV

ევროპული კვლევითი ინფრასტრუქტურის ლანდშაფტის კონსოლიდაცია და ევოლუცია

ეს მიმართულება მიზნად ისახავს ევროპაში არსებული კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების ერთიან, მძლავრ სისტემად ჩამოყალიბებას როგორც "ევროპული კვლევითი სივრცის ხერხემალი". მისი ამოცანაა, რომ მეცნიერებს ჰქონდეთ წვდომა მსოფლიო დონის აპარატურაზე, მონაცემებსა და სერვისებზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებიან ისინი.

მაგალითი:

თუ მეცნიერს სჭირდება უიშვიათესი სუპერკომპიუტერი ან სპეციალიზებული ბიო-ბანკი, INFRADEV ზრუნავს იმაზე, რომ ეს რესურსები იყოს არა დანაწევრებული, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებული და ადვილად ხელმისაწვდომი.

Research infrastructure concept development (incl. major upgrades/extensions)

კვლევითი ინფრასტრუქტურის კონცეფციის შემუშავება (Concept Development)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-01

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია **10 მილიონი ევრო**. იგეგმება **4 პროექტის** დაფინანსება (თითოეული 2-3 მლნ ევრო).

თარიღები: იხსნება **2026 წლის 10 მარტს**, დასრულების ვადაა **2026 წლის 16 ივნისი**.

აბსტრაქტი

თემა განკუთვნილია სრულიად ახალი კვლევითი ინფრასტრუქტურის იდეების მოსაფიქრებლად ან არსებულის რადიკალური განახლებისთვის. ის ეხმარება მეცნიერებს დაამტკიცონ, რომ მათი იდეა ტექნიკურად და მეცნიერულად განხორციელებადია.

მაგალითი

მეცნიერთა ჯგუფს სურს შექმნას ახალი ტიპის ვირტუალური ლაბორატორია კოსმოსური ნარჩენების შესასწავლად. ეს გრანტი მათ მისცემს სახსრებს, რათა შექმნან ამ ლაბორატორიის დიზაინი და ბიზნეს-გეგმა.

მნიშვნელოვანია

არ ფინანსდება მიმდინარე რუტინული სამუშაოები ან მცირე გაუმჯობესებები. აუცილებელია იმის დასაბუთება, თუ რატომ არის ეს პროექტი მნიშვნელოვანი მთელი ევროპისთვის და არა მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის.

Thematic clusters: strategic coordination, synergies, simplified access pathways

თემატური კლასტერების სტრატეგიული კოორდინაცია (Thematic Clusters)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-02

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 40 მილიონი ევრო. იგეგმება 6 პროექტის დაფინანსება (თითოეული 4-8 მლნ ევრო).

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

მიზანია მსგავსი სფეროს ინფრასტრუქტურების (მაგალითად, ენერგეტიკის ან ჯანდაცვის ყველა ცენტრის) გაერთიანება „კლასტერებად“. ეს აადვილებს მონაცემთა გაცვლას და მეცნიერებისთვის სერვისების ერთიან პორტალზე განთავსებას.

მაგალითი

გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი სხვადასხვა ევროპული ცენტრი ქმნის ერთიან „ფანჯარას“, სადაც ნებისმიერ მკვლევარს შეუძლია იპოვოს ყველა საჭირო ინსტრუმენტი კლიმატის ცვლილების შესასწავლად.

მნიშვნელოვანია

პროექტები უნდა მოიცავდეს ESFRI-ს კონკრეტულ სფეროებს (მონაცემები, ენერჯია, გარემო, ჯანმრთელობა, ფიზიკა ან სოციალური მეცნიერებები).

Individual support: evolution, sustainability, emerging needs (ESFRI/ERIC)

ინდივიდუალური მხარდაჭერა პან-ევროპული ინფრასტრუქტურებისთვის (Individual Support)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-03

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 9.90 მილიონი ევრო. იგეგმება 3 პროექტის დაფინანსება (თითოეული 3-4.5 მლნ ევრო).

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

ეს გრანტი ეხმარება უკვე არსებულ, მსხვილ ევროპულ ინფრასტრუქტურებს (Landmarks European Strategy Forum on Research Infrastructures (ESFRI) და ERICs - European Research Infrastructure Consortium), რომ გახდნენ უფრო მდგრადები, განაახლონ მართვის მოდელები ან გააფართოვონ წევრ ქვეყანათა სია.

მაგალითი

არსებულმა ბიომედიცინის კვლევითმა კონსორციუმმა უნდა შეცვალოს თავისი ბიზნეს-გეგმა, რათა უფრო დიდხანს შეძლოს უფასო სერვისების მიწოდება მეცნიერებისთვის.

მნიშვნელოვანია

დაფინანსების განაკვეთი არის 80% (და არა ჩვეული 100%), რაც ნიშნავს, რომ თავად ორგანიზაციამაც უნდა ჩადოს საკუთარი რესურსი.

Human capital for RI management (training/skills, international context)

ადამიანური კაპიტალის გაძლიერება კვლევით ინფრასტრუქტურებში (Human Capital)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-04

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 2 მილიონი ევრო. იგეგმება 1 პროექტის დაფინანსება.

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

აქ აქცენტი კეთდება იმ ადამიანებზე, ვინც რთულ ლაბორატორიებს მართავს. გრანტი აფინანსებს ტრენინგებს მენეჯერებისთვის, რათა მათ უკეთ შეძლონ რისკების მართვა, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და საერთაშორისო თანამშრომლობა.

მაგალითი

სპეციალური „სამაგისტრო პროგრამის“ შექმნა მათთვის, ვისაც სურს გახდეს ევროპული სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.

მნიშვნელოვანია:

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უკრაინელი სპეციალისტებისთვის სტიპენდიების გამოყოფას.

RIs accelerating Ukraine's integration into the ERA

უკრაინის ინტეგრაცია ევროპულ კვლევით სივრცეში (Integration of Ukraine)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-05

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 8 მილიონი ევრო. იგეგმება 1 პროექტის დაფინანსება.

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

პროექტი მიზნად ისახავს უკრაინელი მეცნიერების დახმარებას, რათა მათ ჰქონდეთ დისტანციური წვდომა ევროპულ ლაბორატორიებზე და ჩაერთონ საერთო პროექტებში. ასევე იგეგმება უკრაინის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის აღდგენის გეგმის მომზადება.

მაგალითი

უკრაინელი ფიზიკოსი, რომელიც კიევშია, იღებს დისტანციურ სტიპენდიას და გრანტს, რათა გამოიყენოს გერმანული ლაბორატორიის მონაცემები თავისი კვლევისთვის.

მნიშვნელოვანია:

კონსორციუმში აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ ერთი იურიდიული პირი უკრაინის სამთავრობო კონტროლირებადი ტერიტორიიდან.

International dimension of ESFRI/ERIC RIs

საერთაშორისო განზომილების გაძლიერება (International Dimension)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-06

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 8 მილიონი ევრო. იგეგმება 5 პროექტის დაფინანსება (თითოეული 1-1.5 მლნ ევრო).

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

ევროპული კვლევითი ცენტრების თანამშრომლობა სხვა კონტინენტების ცენტრებთან (მაგალითად, აშშ, იაპონია და ა.შ.). ეს საჭიროა გლობალური პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა ჯანმრთელობა ან გარემოს მონიტორინგი.

მაგალითი

ევროპული ოკეანოლოგიური ცენტრი და ავსტრალიური ინსტიტუტი ერთიანდებიან, რათა შექმნან მსოფლიო ოკეანის დაბინძურების ერთიანი რუკა.

მნიშვნელოვანია

აუცილებელია მინიმუმ ერთი პარტნიორი არაწევრი მესამე ქვეყნიდან.

Risk management, mitigation, contingency for world-class RIs

რისკების მართვა და გაუთვალისწინებელი შემთხვევები (Risk Management)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-DEV-01-07

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 10 მილიონი ევრო. იგეგმება 3 პროექტის დაფინანსება (თითოეული 1-4 მლნ ევრო).

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

მეცნიერებაც დგას საფრთხეების წინაშე (კლიმატური კატასტროფები, ენერგეტიკული კრიზისი, კიბერშეტევები). ეს თემა ეხმარება ცენტრებს შეიმუშაონ გეგმები, თუ როგორ გადაარჩინონ კრიტიკული მონაცემები და გააგრძელონ მუშაობა კრიზისის დროს.

მაგალითი

გენეტიკური მონაცემების ბანკი ქმნის სარეზერვო სისტემას და დაცვის მექანიზმს, რათა ელექტროენერჯის ხანგრძლივი გათიშვის შემთხვევაში ნიმუშები არ განადგურდეს.

მნიშვნელოვანია

აქცენტი კეთდება „კრიტიკულ R&I სერვისებზე“, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირის ავტონომიისთვის.

დანიშნულება (Destination): INFRAEOSC

ოპერატიული, ღია და FAIR EOSC ეკოსისტემის ხელშეწყობა

ამ მიმართულების მიზანია შეიქმნას „მონაცემების ინტერნეტი“ მეცნიერებისთვის. ის უზრუნველყოფს, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები იყოს FAIR – ანუ ადვილად მოსაძებნი (Findable), ხელმისაწვდომი (Accessible), თავსებადი (Interoperable) და მრავალჯერადად გამოყენებადი (Reusable). ეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნისა და დარგის მეცნიერებს, მარტივად გაუზიარონ ერთმანეთს ციფრული რესურსები და ერთობლივად იმუშაონ გლობალურ გამოწვევებზე.

მაგალითი:

ერთიანი ციფრული ბიბლიოთეკა, სადაც ბიოლოგი ატვირთავს გენეტიკურ მონაცემებს, ხოლო სხვა ქვეყანაში მყოფი ინფორმატიკოსი ამ მონაცემებს იყენებს ხელოვნური ინტელექტის მოსამზადებლად ყოველგვარი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე.

Uptake of FAIR practices and EOSC by communities/RIs

FAIR პრაქტიკის დანერგვა კვლევით თემებში

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-01-EOSC-01: Uptake of FAIR data management practices and of EOSC by research communities and research infrastructures.

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 40 მილიონი ევრო. იგეგმება 1 მსხვილი პროექტის დაფინანსება.

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

ეს თემა მიზნად ისახავს, რომ მეცნიერებმა რეალურად დაიწყონ EOSC-ის გამოყენება ყოველდღიურ მუშაობაში. პროექტი გასცემს ქვე-გრანტებს (კასკადური დაფინანსება) მცირე სამეცნიერო ჯგუფებისთვის, რათა მათ თავიანთი მონაცემები გახადონ „FAIR სტანდარტის“.

მაგალითი

ისტორიკოსთა ჯგუფი იღებს დაფინანსებას, რათა ძველი არქივების ციფრული ვერსიები EOSC-ის სტანდარტების მიხედვით დაამუშაონ და ხელმისაწვდომი გახადონ მსოფლიო მკვლევარებისთვის.

მნიშვნელოვანია:

ბიუჯეტის მინიმუმ 29 მილიონი ევრო უნდა დაიხარჯოს მესამე მხარეებზე (ქვე-გრანტებზე). თითოეული ქვე-გრანტი შეიძლება იყოს 100,000-დან 250,000 ევრომდე.

Trusted frameworks for secure and efficient data sharing in EOSC.

მონაცემთა უსაფრთხო გაზიარების სანდო ჩარჩოები

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-01-EOSC-02

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 10 მილიონი ევრო. იგეგმება 2 პროექტის დაფინანსება (თითოეული 3-5 მლნ ევრო).

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

აქ აქცენტი კეთდება „მონაცემთა სუვერენიტეტზე“. პროექტმა უნდა შექმნას წესები და ინსტრუმენტები, რათა სენსიტიური მონაცემების (მაგ. პერსონალური სამედიცინო ინფორმაცია) გაზიარება იყოს უსაფრთხო და კანონიერი.

მაგალითი

იქმნება პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აკონტროლებს, ვის აქვს უფლება ნახოს პაციენტების ანონიმური მონაცემები კლინიკური კვლევისას და როგორ გამოიყენოს ისინი.

მნიშვნელოვანია:

აუცილებელია ევროკავშირის ციფრულ კანონმდებლობასთან (მაგ. Data Act) სრული შესაბამისობა.

დანიშნულება (Destination): INFRASERV

კვლევითი ინფრასტრუქტურის სერვისები ჯანმრთელი მომავლის, გლობალური კლიმატისა და ენერგეტიკული ხედვის, ცირკულარული ეკონომიკისა და ფუნდამენტური ცოდნის მხარდასაჭერად.

ეს მიმართულება პირდაპირ აფინანსებს მეცნიერების „მოგზაურობას“ და წვდომას მსოფლიო დონის ლაბორატორიებზე. მისი მთავარი არსი ტრანსნაციონალური წვდომაა (Transnational Access): ევროკავშირი იხდის ხარჯებს, რათა მკვლევარმა (მათ შორის ინდუსტრიიდან) შეძლოს სხვა ქვეყანაში არსებული უნიკალური აპარატურის, ნიმუშების ან მონაცემების გამოყენება სრულიად უფასოდ.

მაგალითი:

ქართველ მკვლევარს აქვს იდეა ახალ სამკურნალო პრეპარატზე, მაგრამ არ აქვს შესაბამისი მაღალი ტექნოლოგიის მიკროსკოპი. INFRASERV-ის მეშვეობით ის მიდის, მაგალითად, საფრანგეთის წამყვან ბიო-ლაბორატორიაში, იყენებს მათ ინფრასტრუქტურას, ხოლო ევროკავშირი უფარავს მგზავრობის, ცხოვრებისა და კვლევის ხარჯებს.

Implementing digital services to empower neuroscience research for health and brain inspired technology via EBRAINS.

ნეირომეცნიერების ციფრული სერვისები (EBRAINS)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-SERV-01-01

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 32 მილიონი ევრო. იგეგმება 1 პროექტის დაფინანსება.

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

პროექტი მიზნად ისახავს EBRAINS პლატფორმის განვითარებას, რომელიც მეცნიერებს აძლევს წვდომას ტვინის ციფრულ მოდელებზე, სიმულაციებსა და ხელოვნურ ინტელექტზე. ეს ეხმარება ტვინის დაავადებების მკურნალობასა და ახალი ტექნოლოგიების შექმნაში.

მაგალითი

ექიმი-მკვლევარი იყენებს ტვინის „ციფრულ ტყუპს“ (Digital Twin), რათა წინასწარ დაინახოს, როგორ იმოქმედებს კონკრეტული ოპერაცია ან წამალი პაციენტის ტვინზე.

მნიშვნელოვანია

აუცილებელია ტრანსნაციონალური და ვირტუალური წვდომის უზრუნველყოფა. პროექტი უნდა დაუკავშირდეს ევროპულ ჯანმრთელობის მონაცემთა სივრცეს (EHDS).

დანიშნულება (Destination): INFRATECH

სამეცნიერო ინსტრუმენტების, მეთოდებისა და ციფრული გადაწყვეტილებების მომავალი თაობა

ეს მიმართულება ორიენტირებულია თავად კვლევითი ინფრასტრუქტურის „გაუმჯობესებაზე“. აქ ფინანსდება ახალი ტექნოლოგიების შექმნა, არსებული აპარატურის მოდერნიზაცია და ინდუსტრიასთან (მათ შორის სტარტაპებთან) ერთობლივი ინიციატივები.

მაგალითი: თუ მეცნიერებს სჭირდებათ უფრო მძლავრი ლაზერი ან ახალი ტიპის სენსორი, რომელიც ჯერ ბაზარზე არ არსებობს, INFRATECH აფინანსებს ამ ინსტრუმენტის გამოგონებასა და პროტოტიპირებას.

R&D for the next generation of scientific instrumentation, tools, methods, digitalisation and solutions for research infrastructure upgrades.

R&D ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისთვის (2026)

სათაური: HORIZON-INFRA-2026-TECH-01-01

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 110 მილიონი ევრო. იგეგმება 5-დან 11-მდე პროექტის დაფინანსება.

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

პროექტის მიზანია შექმნას ინოვაციური ხელსაწყოები, რომლებიც გაზრდის ევროპული სამეცნიერო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას. აქცენტი კეთდება „მწვანე“ ტექნოლოგიებზე და ციფრულ ტრანსფორმაციაზე.

მაგალითი

ახალი ტიპის, ენერგოეფექტური გაგრილების სისტემის შექმნა სუპერკომპიუტერებისთვის.

მნიშვნელოვანია

კონსორციუმში უნდა იყოს მინიმუმ ორი სხვადასხვა კვლევითი ინფრასტრუქტურა.

ტექნოლოგიური მზაობის დონე (TRL) უნდა იყოს 4-ზე მაღალი.

შესაძლებელია PCP (წინასაკომერციო შესყიდვების) გამოყენება ინდუსტრიის ჩასართავად.

Digital twins and/or their major components for environment, climate and security.

ციფრული ტყუპები გარემოსა და უსაფრთხოებისთვის (2026)

იდენტიფიკატორი: HORIZON-INFRA-2026-TECH-01-02:

ბიუჯეტი: ჯამური ბიუჯეტია 15 მილიონი ევრო. იგეგმება 2 პროექტის დაფინანსება.

თარიღები: იხსნება 2026 წლის 10 მარტს, დასრულების ვადაა 2026 წლის 16 ივნისი.

აბსტრაქტი

ეს თემა ეხება "Destination Earth" ინიციატივას — დედამიწის მაღალი სიზუსტის ციფრული მოდელების შექმნას კლიმატური რისკების პროგნოზირებისთვის.

მაგალითი

ქალაქის ციფრული მოდელის შექმნა, რომელიც ზუსტად აჩვენებს, თუ რომელი უბნები დაიტბორება ძლიერი წვიმის დროს.

მნიშვნელოვანია:

აუცილებელია Copernicus-ის ან Galileo-ს მონაცემების გამოყენება.
პროექტმა უნდა მიაღწიოს TRL 7-ს.